https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.05

აფსუურ-ქართველური სანათესაო ფესვები და წარსულის განსხვავებული ხედვა პოლიტიკურ ჭრილში

APSUA-KARTVELIAN KINSHIP ROOTS AND AN ALTERNATIVE PERSPECTIVE OF THE PAST FROM A POLITICAL ANGLE

ეკატერინე ანთია
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ზუგდიდი, საქართველო
ნანა ივანელაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Ekaterine Antia
Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi.
Zugdidi, Georgia
Nana Ivanelashvili
International University of the Caucasus
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The proposed scholarly publication explores the complex political and family relations between the Principalities of Samegrelo and Abkhazia, with particular attention focused on Mikheil Sharvashidze, the Head of the Principality of Abkhazia and son of George Sharvashidze. In spite of the fact that both principalities fought for the Samurzakano territory, Prince Mikheil's actions in the 1830s, including the annexation of Ilori and his subsequent marriage with a member of the Principality of Mingrelia, reflected both his private and political ambitions.

Though these actions strained relations with the Samegrelo principality. The difficult dynamics between the two principalities were further aggravated by the Russian Empire's interventions and decisions, especially during the Crimean War.

The study emphasizes diverse relationships, individual choices, regional politics, and broad imperial strategies in the Caucasus during the 19th century.

საკვანძო სიტყვები: სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების ურთიერთობა (XVIII-XIX სს.), აფსუურ-ქართველური ნათესაობა, მიხეილ შარვაშიძე.
Keywords: relations between the principalities of Samegrelo and Abkhazia (18th-19th centuries), Apsua-Kartvelian kinship, Mikheil Sharvashidze.

მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესოა სამეგრელოს მთავრის კაცია II დადიანის (1757-1788) შვილიშვილის (თამარ დადიანის ვაჟი), აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის (1806-1866) მიხეილ გიორგის ძე შარვაშიძის (ჩაჩბა) (იგივე ხამუთ ბეის) ნათესაური ფესვები სამეგრელოსთან და წარსულის განსხვავებული ხედვა პოლიტიკურ ასპექტში.

მიუხედავად ნათესაური კავშირისა, აფხაზეთსა და სამეგრელოს სამთავროს შორის სამურზაყანოს საკითხი მუდამ დავის საგანი იყო. აფხაზეთი პრეტენზიას აცხადებდა სამურზაყანოზე და 1834 წელს ილორში შეჭრილმა მიხეილ შარვაშიძემ სოფლის მაცხოვრებლებს ერთგულების ფიციც კი დაადებინა, რამაც მთავარმართებელ ბარონ როზენის გულისწყრომა გამოიწვია: „ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში უწესრიგობის გამრავლებას და არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა სხვის სამფლობელოში თქვენი ასეთი თვითნებობის გამო. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოს და აფხაზეთს შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ, გთხოვოთ, გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მოცემული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს" (ნარკვევები... 2007: 241). აფხაზეთის მთავარი ბარონის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ იძულებული გახდა ილორი დაეტოვებინა.

სწორედ ზემოთ აღნიშნული საკითხის შემდეგ, მიუხედავად შემრიგებლური პოლიტიკის გატარებისა, მიხეილ შარვაშიძეს მისი თანამედროვე სამეგრელოს მთავრები – ლევან V დადიანი (1791-1846) და დავით დადიანი (1813-1853), ასევე, ამ უკანასკნელის ქვრივი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა უნდობლად ეკიდებოდნენ.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ტერიტორიული პრეტენზიის შემდეგ მიხეილ შარვაშიძეს სურვილი აქვს დაუნათესავდეს სამეგრელოს სამთავრო ოჯახს.

მიუხედავად პოლიტიკური ამბიციებისა და ტერიტორიების გაფართოების სურვილისა, მიხეილ შარვაშიძის ხედვა პარალელურად უფრო შორსმჭვრეტელური იყო და ნათესაური ურთიერთობის გამყარებით ცდილობდა სამეგრელოსთან ურთიერთობის გაღრმავებას. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სამი ქორწინებიდან მეორე და მესამე დაკავშირებული იყო სამეგრელოს სამთავრო შტოსთან. ვფიქრობთ, რომ ეს ქორწინებები შემთხვევითი არ იყო. მეორე ქორწინების შემდეგ (თანამეცხედრე ნიკოლოზ II დადიანის ასული მენიკი გახლდათ) ის კვლავ ქორწინდება სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესის შვილიშვილზე, ალექსანდრა (ცუცუ) გიორგის ასულ დადიანზე, რომელიც 1836 წლის 20 იანვარს მოტაცებით შეირთო. ამ არჩევანით მიხეილ შარვაშიძე, გარდა პირადული გადაწყვეტილებისა, ერთგვარად ამტკიცებს ორ სამთავროს შორის კავშირს.

მნიშვნელოვანია, რომ ბარონი როზენი ამ ქორწინებას სჯულის საწინააღმდეგო ქმედებად თვლიდა, ის ამ საკითხთან დაკავშირებით

გიორგი დადიანს თავისთან მოსალაპარაკებლად იწვევდა: „ცუცუ დადიანის მამას, გიორგის, რომლის უწყებითა მოტაცებულ იქმნა კნეიჟნა თავადის მიხეილისაგან მოსალაპარაკებლად ქუთაისში ჩამოსვლა უბრძანა" (ზსიემ: 2485/ლ.ა. 885 ბარონ როზენის წერილი ლევან დადიანისადმი, 1836.10. IX). მან ეს შეურაცხყოფად მიიღო, „აღმოაჩინა ცხადი ურჩება წინაშე მმართებლობისა, შეჰკრიბნა კაცნი და იგი გამაგრებული სახლსა შა თვსსა" (ზსიემ: 24140/ლ.ა. 1740 ბარონ როზენის წერილი თათარყან დადეშქელიანისადმი, 1836.6. X.), რაც გვავარაუდებინებს, რომ თავად გიორგი დადიანიც მომხრე იყო ამ ქორწინებისა. მოვლენები კი ასე განვითარდა: ,,მსაჯულთუხუცესი გიორგი დადიანოვი" (კეკელია 1981: 67), როგორც ლევან V დადიანი იხსენებდა, მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან, რაც ერთგვარად დასჯად შეგვიძლია აღვიქვათ. პროცესები ამით არ დამთავრებულა; ნიკოლოზ დადიანმა, მენიკი დადიანის მამამ (როგორც შეურაცხყოფილმა მშობელმა) სარჩელი აღძრა მიხეილ შარვაშიძის წინააღმდეგ და ლევან დადიანს, როგორც სამეგრელოს მთავარს, არსებული ადათების მიხედვით სამედიატორო სასამართლოს განჩინება მოსთხოვა (სცსსა: ფონდი 2. აღწ. 1, საქმე 6429, ფურც. 29).

ბარონი როზენი კი ლევან დადიანს, როგორც არასაიმედო პიროვნებას, გიორგი დადიანის დაპატიმრებას სთხოვს: „...გამოისტუმროთ იგი სასტიკი ყარაულით ქუთაისშიდ გენერალ-მაიორ პაცოვსკისთან, ვინაიდან შემდგომ გამოცხადებულის ურჩობისა, ყოფნა მათი მენგრელიაში არ იქნების მოსათმენელი, ვიდრე მათ არ გაიმართონ თავიანთი ქცევა" (ქირია... 1967: 65). გიორგი დადიანმა თავი აარიდა ბარონ როზენის მოთხოვნას ლევან V დადიანისადმი და თავისი სახლეულით სიმამრთან სვანეთში შეაფარა თავი, „წარიტაცა თვსთან კეთილმოსურნე ძმა თავისი თავადი ბესარიონ" (ნარკვევები... 2007: 23-28).

დადეშქელიანებთან, სვანეთს თავშეფარებული გიორგი დადიანი იმავე წელს აფხაზეთში გადავიდა. დადიანის ქალის შერთვით მიხეილ შარვაშიძესაც სიმამრის კვალად ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბა და ერთგვარად ჩვენ მიერ ნავარაუდები გათვლები ურთიერთობის განმტკიცების თაობაზე შესაძლოა უარყოფითად შემოუბრუნდა. უსაფრთხოების მიზნით მან ჯიქეთში გახიზნა გიორგი და ბესარიონ დადიანები, ხოლო თვითონ საცხოვრებლად გადასახლება განიზრახა სოფელ სოუქსუდან აბჟუაში. ნ. თაკალანძის კვლევაში ვკითხულობთ: „მიხეილი მზად იყო დაეცვა გრძნობის კარნახით შექმნილი ოჯახი და, მიუხედავად მთავარმართებლისა და უმაღლესი სინოდის მოთხოვნისა, უარეყო ცუცუ დადიანი სასამართლოში აღძრული საქმის გადაწყვეტამდე, მისი ნება ურყევი აღმოჩნდა" (თაკალანძე 1999: 39). ჩვენ არ ვაკნინებთ დიდი მთავრის პირად ემოციებს, მაგრამ მაინც ვრჩებით იმ აზრზე, რომ მას სიყვარულთან ერთად სამთავროთა დაახლოების პოლიტიკური გათვლაც ექნებოდა.

განვითარებულმა მოვლენებმა მ. შარვაშიძის ხედვისა და პოლიტიკური გეგმების ცვლილებაც გამოიწვია. ამ კუთხით იმ პერიოდისათვის თანხვედრა მოხდა სიძე-სიმამრის შეხედულებებს შორის. ორივე, მიუხედავად ნათესაური კავშირისა, გაერთიანებული ძალებით ოპოზიციაში უდგება სამეგრელოს მთავრებს.

როგორც ჩანს, მათი გაერთიანება მოსვენებას უკარგავდა თავად დავით დადიანს, რაც თვალნათლივ იკითხება გრიგოლ დადიანისადმი მიწერილ წერილში: „გიორგი აფხაზეთში აბრაგად, რევს მიხაილს და ბუნტობს აფხაზეთი ქედ-ფიცხლობს ჩემზედა“ (მეუნარგია 2003: 45). ორ მთავარს შორის უთანხმოების გაღვივებას ღიად თუ ირიბად რუსეთის იმპერიაც მუდმივად უწყობდა ხელს. ამის პირდაპირი დასტურია ის, რომ სამურზაყანოს საკითხში ამჯერად უპირატესობა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს მიანიჭა. დოკუმენტები გვამცნობს, რომ სამურზაყანოს დათმობის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციაც კი გადაუხადა, რითაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო არსებული დაპირისპირების გამწვავებას. ქრონიკებში ვკითხულობთ: „კავკასიის უმაღლესმა ხელისუფლებამ ეს მხარე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე დადიანთა სამფლობელოს მიათვალა, მაშინ როცა შარვაშიძეები სამურზაყანოს, როგორც აფხაზეთის ნაწილსა და თავის კუთვნილებას, ისე უყურებდნენ. ამან ჩამოაგდო შეუნელებელი მტრობა ორივე სამთავრო სახლს შორის. სწორედ ამავე გარემოების წყალობით ხშირად იბადებოდა გაუგებრობა მიხეილსა და მთავრობას შორისაც... 1840 წელს სამურზაყანო ჩამოართვეს დადიანებსაც და იქ უშუალო რუსული მმართველობა დამყარდა. მიხეილი მაინც დაუკმაყოფლებელი დარჩა. პირიქით, დადიანის მიერ საზღაურის მიღებამ იმდენად შეურაცხყო აფხაზეთის მთავარი, რომ მან ზოგიერთი სხვა ფაქტის ზეგავლენითაც თავისი პროტესტი სამთავრო უფლებებზე უარის თქმით გამოხატა“ (ჯანაშია 1939: 8).

გამწვავებულ ფონზე 1840 წელს ლევან V დადიანმა უარი თქვა მმართველობაზე და საკუთარი ნებით გადასცა შვილს დავით დადიანს სამართავად სამეგრელოს სამთავრო. დავით დადიანი ენერგიულად, ახალი რეფორმების გატარებით შეუდგა სამთავროს მართვას. 1841 წელს სამეგრელო რამდენიმე მაზრად დაყო, თითოეულ მაზრაში მდივანბეგი დააყენა, რომელიც მაზრის უფროსი იყო და იმავე დროულად სამოსამართლო და საპოლიციო უფლებაც ჰქონდა მინიჭებული. ახალმა მთავარმა თანდათანობით შემოირიგა ლევან V-ის დროს განდგომილი თავადაზნაურობა. შემორიგებულთა შორის იყო გიორგი დადიანიც, რომელიც მთავარმა ჯვარის მაზრის მდივანბეგის თანამდებობაზე დააწინაურა.

ამ შემორიგების პროცესს მოჰყვა დათბობითი პოლიტიკა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ორმა დიდმა მთავარმა – დავით დადიანმა და მიხეილ შარვაშიძემაც გადადგეს ერთმენეთის მიმართ გარკვეული ნაბიჯები.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის მთავარს ყირიმის ომის დროს 1853-1856 წლებში განსაკუთრებული მისია დაეკისრა. ფაქტია, ამ ომის მიმდინარეობისას მიხეილ შარვაშიძე რუსებს დახმარებას უწევს, რათა ჯარები აფხაზეთიდან სამეგრელოში უვნებლად გადაიყვანოს. „1854 წლის 19 მარტს სათავეში ჩაუდგა ამ ოპერაციის განხორციელებას და უკვე 5 აპრილს ბიჭვინთას, ბომბორის, წებელდის და სოხუმის გარნიზონები მშვიდობით მიიყვანა მდ.ენგურზე, აქ განლაგებული სიმაგრეები კი განადგურდა“ (Акти... 1885: 271). ამით მიხეილ შარვაშიძემ დიდი დახმარება გაუწია სამეგრელოს სამთავროს ომერ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში. თავად

მიხეილ შარვაშიძეს თანადგომისა და დახმარების გამო რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტის წოდება და თეთრი არწივის ორდენი გადაეცა“ (იქვე: 275).

მიუხედავად მიხეილ შარვაშიძის გაწეული თავდადებისა, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალიც ეჭვის თვალით უყურებდა და მასში მთავარ მოწინააღმდეგესა და საფრთხეს ხედავდა. გარკვეულწილად ამითაც იყო განპირობებული, რომ ამხელა გამოცდილების მთავარს დედოფალმა რიგითი ფარაჯა არგუნა. ეკატერინეს შეშფოთება, როგორც ჩანს, უსაფუძვლო არ იყო. მართალია, მიხეილ შარვაშიძე აშკარად არ ერეოდა სამეგრელოს სამთავროს საქმეებში და მხოლოდ აფხაზეთის პრობლემებით იყო დაკავებული, მაგრამ უკვე იქ ყოფნის მცირე ხნის განმავლობაში მან შეძლო სამეგრელოს მთავრისადმი მტრულად განწყობილი ძლიერი და გავლენიანი პარტიის თავმოყრა თავისი სიმამრის გარშემო (იქვე: 223).

1855 წელს რუსეთის მთავრობამ კავკასიის მთავარმართებლის ვორონცოვის ნაცვლად საქართველოში გენერალი მურავიოვი გამოგზავნა, ფაქტია, რომ მურავიოვი ეკატერინე დედოფალთან შეხვედრის შემდეგ შეხვდა სამეგრელოს სამთავროს თავადების მოწინააღმდეგეთა ჯგუფს და აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს. მთავრისა და მურავიოვის საუბრის დეტალები უცნობია. როგორც ჩანს, მურავიოვმა სამეგრელოდან წასვლა ურჩია მთავარს, რადგან სამი კვირის შემდეგ, მაისის დამდეგს, შარვაშიძემ სამეგრელო, ჭკადუაში დატოვა. ამ კუთხის დატოვების მიზეზს ასეთ ახსნას აძლევს შარვაშიძე: „...მოველოდებოდი რა დანიშვნასა სახლობისათვის ჩემისა საყუდველისასა, აგრეცა მინდობილებისა საქმისასა შესაბამ წოდებისა ჩემისა, განვლო სრულმან წელიწადმან, შეიცვალნა მაღალი მთავრობა ამა მხარისა, გარნა როგორც ძველმან, არც ახალმან არ მიიქციეს ჩემს მდგომარეობაზედ ყურადღებაი, დამტოვეს ვითარცა კაცი უქმი. მე ყოვლად დაიმედებული თავს თვისსა ზედა, რომელი არ ვარ გამოუსადეგ და უქმი, ვარჩიე უსაქმოდ ყოფნასა შემოვლა ისევ ჩემივე სამთავროსი (რომელიცა განიყრებოდნენ ვითარცა ცხოვარნი უმწყსონი) და დაცვა მათი მყუდროებასა შინა და, უკეთუ მომცემდა შემთხვევა, აქედამც აღმომეჩინა სარგებლობა ჩემის ხელმწიფე იმპერატორისა“ (საისტორიო მოამბე 1963: 238). რუსეთის მთავრობამ ვერ შეძლო მიხეილ შარვაშიძის ჯეროვანი შეფასება. მას „მოღალატედ“ ცნობდნენ, ეს მაშინ, როდესაც თვითონ უდავოდ სამთავროს ერთგული და მისი ინტერესების დამცველი იყო.

წარმოდგენილი ფაქტების ანალიზი, ისტორიული წიაღსვლები და პოლიტიკური პროცესების ნაირგვარი მონაცვლეობა ვერ უგულებელყოფს აფსუურ-ქართველურ მჭიდრო კავშირებსა და მათ განსხვავებულ თუ თანხვედრილ პოლიტიკურ ხედვას წარსულისა და მომავლის ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თაკალანძე 1999: თაკალანძე ნ., მიხეილ შარვაშიძე (ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა). თბილისი, 1999.

კეკელია 1981: კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეეთების წინ. ნაწილი II, თბილისი, 1981.

მეუნარგია 2003: მეუნარგია ი, დავით დადიანი და მისი დრო. თბილისი, 2003.

ნარკვევები... 2007: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. რედაქტორი ჯ. გამახარია. თბილისი, 2007.

ქირია... 1967: ქირია ც., სარია შ., მასალები საქართველოს ისტორიისათვის. თბილისი, 1967.

ჯანაშია 1939: ჯანაშია ს., ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან. გიორგი შარვაშიძე. ნაკვეთი III. თბილისი, 1939.

ზსიემ: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი), 2485/ლ.ა. 885 ბარონ როზენის წერილი ლევან დადიანისადმი,1836.10. IX.

ზსიემ: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი), 24140/ლ.ა. 1740 ბარონ როზენის წერილი თათარყან დადეშქელიანისადმი, 1836.6. X.

საისტორიო მოამბე 1963: ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1963, №15-16.

სცსსა: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2. აღწ. 1, საქმე 6429, ფურც. 28-31.

Акти... 1885: Акти т.х. собранние Кавказского Археологическую коммиссиею,Тифлись,1885.